



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი  
(ს03ა60)  
№6 (405)  
(5776)  
2015

“מנורה”  
עיתון יהודי  
בגוריה

### გ ი ლ ო ტ ა კ თ !

ებრაული წელთაღრიცხვის 2448 წლის სივანის თვის მეექვსე დღეს, ებრაელობამ მიიღო თორა. მოშე რაბინუმ - მოსემ სინაის მთიდან ღვთის მცნებები ჩამოგვიტანა. კაცობრიობამ დაიწყო სულა ჰროგ რესისაკენ.

შაბუეთი თორის - მცნებათა მიღების დღესასწაულია.

უკვე სამი ათას წელიწადზე მეტია ჩვენ ღვთისმსახური ერი ვართ.



1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.
2. არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყნისა; არა თავყვანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ.
3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.
4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღეს იქმოდე, და ჰქმნე, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.
5. პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.
6. არა კაც ჰკლა!
7. არა იმრუშო!
8. არა იპარო!
9. არა ცილ სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.
10. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა.

# რუთის გრაგნილი

### თავი პირველი

1. ეს მოხდა მსაჯულთა მსაჯულობის დღეებში, რაჟამს ქვეყანაში იყო შიმშილი, წავიდა კაცი იეჰუდას ბეთ-ლექემიდან მოაბის ველებზე საცხოვრებლად, -- თვითონ და თავისი ცოლი და ორი ძე მისი.

2. და იმ კაცის სახელი (იყო) ელიმელეხი, მისი ცოლის სახელი -- ნაომი, მისი ორი ძის სახელი მახლონი და ქილიონი. ეფრათელი იყვნენ, იეჰუდას ბეთ-ლექემიდან. მივიდნენ მოაბის ველზე და იყვნენ იქ.

3. მოკვდა ელიმელეხი, ნაომის ქმარი და დარჩა ის (დედა-კაცი) და ორი ძე მისი.

4. და შეირთეს თავიანთთვის ცოლებად მოაბელი (ასულნი): ერთის სახელი იყო ორფა, მეორის სახელი -- რუთი. და იცხოვრეს იქ ათიოდე წელი.

5. გარდაიცვალა ორივე -- მახლონი და ქილიონი, და დარჩა დედა-კაცი თავის ორ ძეთაგან და თავისი ქმრისაგან.

6. ადგა და დაბრუნდა იგი თავისი რძლებითურთ მოაბის ველთაგან, რამეთუ შეიტყო მოაბის ველზე, რომ მოიხსენია უფალმა თავისი ხალხი, რათა მათთვის პური მიეცა.

7. და განვიდა თავისი ორი რძლითურთ იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა და ვიდოდნენ იეჰუდას ქვეყანაში დასაბრუნებლად.



ანა მიატოვე და მოხველ ხალხში, რომელსაც არც გუშინ და არც გუშინინ იცნობდი.

12. უფალმა მოგაგოს შენი ქმედებისათვის და შენი საზღაური იყოს უფლისაგან, ისრაელის ღმერთისაგან, რამეთუ მოხველ მის ფრთებქვეშ შესახიზნავად.

13. და უთხრა: ვპოვებ კეთილსახოვნებას შენს თვალთა წინაშე, ჩემო ბატონო, რამეთუ მანუგევე და ესაუბრე შენი მხევლის გულს, და მე შენი მხევლობის ღირსიც არა ვარ.

14. და უთხრა მას ბოაზმა (პურის) ჭამის ჟამს: მოდი და აქ ჭამე პური, და ამოავლე ძმარში ნატეხი შენი. და დაჯდა (ქალი) მომკელთა გვერდით. და მიანოდა მას მოხალული თავთავნი.

15. და უთხრა: მან ჭამა და გაძლა და კიდევ დატოვა.

16. და უთხრა (როცა ქალი) ადგა ასაკრეფად, უბრძანა ბოაზმა თავის ყმანეულკაცებს ამ თქმით: ძნელთა შორისაც აკრიფოს მან, და მას ნუ გააწვინებთ.

17. და თავთავთა კონებისგანაც გადადევით მისთვის და დაუტოვეთ, და ნუ დატუქსავთ მას.

18. და საღამომდე კრეფდა ყანაში (ქალი) და რაც აკრიფა იგი გალუნა, და იყო თითქმის ეიფა ძნეული ქარისა.

19. და უთხრა მას დედამთილმა: სად კრეფდი დღეს და სად მუშაობდი? იყოს კურთხეული შენი მცნობელი! და განუცხადა თავის დედამთილს, ვისთანაც მან იმუშავა, და უთხრა: ბოაზი ჰქვია იმ კაცს, ვისთანაც ვმუშაობდი დღეს.

20. და უთხრა ნაომიმ თავის რძალს: კურთხეულია ის უფლის მიერ, რამეთუ არ მიატოვა თავისი წყალობა ცოცხლებთან და გარდაცვლილებთან. და უთხრა ნაომიმ მას: ჩვენი ახლობელია ეს კაცი, ჩვენი სანათესაოდან არისო ის.

21. თქვა მოაბელმა რუთმა: ისიც მითხრა, ჩემს ყმანეულქალებთან დარჩი, სანამ დაასრულონ მთელი ჩემი სამკალი.

22. და უთხრა ნაომიმ რუთს, თავის რძალს: კეთილი, ჩემო ასულო, რამეთუ მის ყმანეულქალებთან გახვალ და სხვის ყანაში არ შეგლახავენ.

23. და მიეკრა (იგი) ბოაზის ყმანეულქალებს, კრეფდა რა (თავთავებს), ვიდრე დასრულდა ქერის მკა და ხორბლის მკა.

(ასე) ცხოვრობდა (რუთი) თავის დედამთილთან.

8. და უთხრა ნაომიმ თავის ორ რძალს: ნადით, დაბრუნდით თითოეული თქვენი დედის სახლში! უფალმა ქმნას წყალობა თქვენთან, ვითარც თქვენ ჰყავთ გარდაცვლილებთან და ჩემთან!

9. უფალმა მოგაგოთ თქვენ მყუდროება და პოვეთ თითოეულმა (უშფოთველობა) თქვენი ქმრის სახლში. და გადაკოცნა ისინი. მათ კი აღიმალლეს ხმა და აქვითინდნენ.

10. და უთხრეს მას: მხოლოდ შენთან დაგვრუნდებით შენს ხალხთან!

11. უთხრა ნაომიმ: დაბრუნდით, ჩემო ასულნო, რად უნდა წამომყვეთ? განა კიდევ მყავს საშოში შვილი, რომ გარდაიქცნენ თქვენს ქმრებად?

12. დაბრუნდით, ჩემო ასულნო, ნადით! რამეთუ დაგვერდი, აღარ ძალმიძს ქმართან ყოფნა. კიდევ რომ ვთქვა: „მაქვს მე იმედი“, ამაღამაც რომ ვიყო ქმართან და ვშვა ძენი.

13. განა თქვენ დაელოდებით მათ, ვიდრე ისინი დაიზრდებიან? განა მათთვის თქვენ დააყოვნებთ, რათა არ გყავდეთ ქმარი? არა, ჩემო ასულნო, რამეთუ გავმწარდი მე ფრიად თქვენგან, რამეთუ გამონიალდა ჩემში ხელი უფლისა!

14. და აღიმალლეს თავიანთი ხმა და აქვითინდნენ კვლავ. და ეამბორა ორფა თავის დედამთილს, რუთი კი მიეკრა მას.

15. და უთხრა: აი, უბრუნდება შენი მახლის ცოლი თავის ხალხსა და თავის ღმერთს, მიჰყევი შენი მახლის ცოლის კვალს!

16. უთხრა რუთმა: ნუ მთხოვ შენს მიტოვებას (და) დაბრუნებას შენგან, რამეთუ სადაც შენ ნახვალ -- (მეც იქ) წამოვალ, სადაც გაათევ, (მეც იქ) გავათევ. შენი ხალხი ჩემი ხალხია, შენი ღმერთი ჩემი ღმერთია.

17. სადაც მოკვდები, (მეც იქ) მოკვდები და იქ დავსაფლავდები. ასე მომაგოს უფალმა და ასე შემძინოს, რამეთუ სიკვდილი გაჰყოფს ჩემსა და შენს შორის!

18. და რაკი იხილა, რომ იგი ჟინიანობდა მასთან წასვლისთვის, შეწყვიტა ლაპარაკი.

19. და ვიდოდნენ ორნივე, ვიდრე მიადგნენ ბეთ-ლექემს. და რაჟამს მივიდნენ ბეთ-ლექემს, შემფოთდა მთელი ქალაქი მათზე. ამბობდნენ: ნუთუ ეს არისო ნაომი?

20. და უთხრა მათ: ნუ მინოდებთ მე ნაომის (სიამეს), მინოდეთ მარა (სიმწარე), რამეთუ ფრიად განმამწარა ყოვლადძლიერმა.

21. სავსე წავიდა და ცარიელი დამაბრუნა უფალმა. რად მინოდებთ მე ნაომის? განმტანჯა უფალმა და ყოვლადძლიერი გამიბოროტდა.

22. დაბრუნდა ნაომი თავის რძალთან, მოაბელ რუთთან ერთად, რომელიც მოაბის ველებიდან წამოჰყვა მას. და ქერის მკის დასაწყისში მოვიდნენ ისინი ბეთ-ლექემს.

### თავი მეორე

1. თავისი ქმრიდან მოკეთე ჰყავდა ნაომის, კაცი მამაცი (და) დიდებული ელიმელეხის საგვარტომოდან და სახელი მისი (იყო) ბოაზი.

2. უთხრა მოაბელმა რუთმა ნაომის: წავალ, გენუკვი, ყანაში და თავთავებს ავკრეფ (იმის) კვალდაკვალ. რომლის თვალშიც სათნოებას ვიპოვნი. და უთხრა მას: ნადი, ჩემო ასულო!

3. წავიდა და მივიდა, (თავთავნი) ყანაში აკრიფა მომკელთა კვალდაკვალ. და შემთხვევით ბოაზის ყანის ნაკვეთზე მოხვდა, რომელიც ელიმელეხის საგვარტომოდან (იყო).

4. და აი, ბოაზიც მოვიდა ბეთ-ლექემიდან და უთხრა მომკელებს: უფალი იყოს თქვენთან! და უთხრეს მას: უფალმა გაკურთხოს!

5. უთხრა ბოაზმა თავის ყრმას, მომკელთა ზედამდგომელს: ეს ყმანეილი ქალი ვისია.

6. მიუგო ყრმამ, მომკელთა ზედამდგომელმა, და უთხრა: ეს ყმანეილი ქალი მოაბელია, რომელიც ნაომისთან (ერთად) დაბრუნდა მოაბის ველიდან.

7. და თქვა: ავკრეფ, გენუკვი, და მოვაგროვებ ძნეულებში (თავთავებს) მომკელთა კვალდაკვალ. მოვიდა და დგას განთიადიდან აქამომდე. მცირე (ხანს) დაისვენა სახლში.

8. და უთხრა ბოაზმა რუთს: ან გამიგონე, ჩემო ასულო, სხვა ყანაში ნუ ნახვალ ასაკრეფად. აქედან წურსად გარდახვალ და აქ შეეთვისე ჩემ ყმანეულქალებს.

9. შენი თვალნი მიაპყრე ყანას, სადაც ისინი მკიან, და გაჰყევ მათ კვალს. აჰა, ვუბრძანე მე ჩემს ყმანეულკაცებს, რომ არ შეგეხონ შენ. და თუ მოგწყურდეს, ჭურჭლებთან მიდი და დალიე, საიდანაც ხაპავენ ყრმანი.

10. და პირქვე დაემხო (ქალი) და თაყვანი სცა მიწამდე, და უთხრა მას: რად ვპოვე მე სათნოება შენს თვალთა წინაშე, რამეთუ მიცან და მე უცხო ქალი ვარ.

11. და მიუგო ბოაზმა და უთხრა მას: თხრობით მითხრეს მე, რაც შენს დედამთილს უყავ, შენი ქმრის სიკვდილის შემდეგ: დედა და მამა, შენი სამშობლო ქვეყ-

19. უთხრა მას დედამთილმა: სად კრეფდი დღეს და სად მუშაობდი? იყოს კურთხეული შენი მცნობელი! და განუცხადა თავის დედამთილს, ვისთანაც მან იმუშავა, და უთხრა: ბოაზი ჰქვია იმ კაცს, ვისთანაც ვმუშაობდი დღეს.

20. და უთხრა ნაომიმ თავის რძალს: კურთხეულია ის უფლის მიერ, რამეთუ არ მიატოვა თავისი წყალობა ცოცხლებთან და გარდაცვლილებთან. და უთხრა ნაომიმ მას: ჩვენი ახლობელია ეს კაცი, ჩვენი სანათესაოდან არისო ის.

21. თქვა მოაბელმა რუთმა: ისიც მითხრა, ჩემს ყმანეულქალებთან დარჩი, სანამ დაასრულონ მთელი ჩემი სამკალი.

22. და უთხრა ნაომიმ რუთს, თავის რძალს: კეთილი, ჩემო ასულო, რამეთუ მის ყმანეულქალებთან გახვალ და სხვის ყანაში არ შეგლახავენ.

23. და მიეკრა (იგი) ბოაზის ყმანეულქალებს, კრეფდა რა (თავთავებს), ვიდრე დასრულდა ქერის მკა და ხორბლის მკა.

(ასე) ცხოვრობდა (რუთი) თავის დედამთილთან.

### თავი მესამე

1. და უთხრა მას ნაომიმ, მისმა დედამთილმა: ჩემო ასულო, ან მყუდროებას მოვძებნი შენთვის, რომ კეთილი გეყოს.

2. და აი, ბოაზი, ჩვენი მოკეთე, რომლის ყმანეულქალებთანაც იყავ შენ, აი, ამაღამ ქერს ანიავებს კალოზე.

3. და გაიბანე, (ზუთი) ნაივცხე, სამოსელი შეიმოსე და კალოზე ჩადი. არ გამოეცნაურო იმ კაცს, ვიდრე ჭამა-სმა არ დაასრულოს.

4. და რაჟამს დაწვება დასაძინებლად, შეიტყე ის ადგილი, სადაც დაწვება. მიდი. გადახადე ფეხსამოსი და მიუწევი. და ის გეტყვის, რაც უნდა აღასრულო.

5. და (რუთმა) უთხრა მას: ყოველივეს აღვასრულებ, რასაც მეტყვი.

6. ჩავიდა კალოზე და ისე გააკეთა, როგორც დედამთილმა დაარჩია.

7. ჭამა და სვა ბოაზმა, გახალისდა მისი გული და მივიდა ზეინის კიდესთან დასანოლად. ნელა მივიდა (რუთი), გადახადა მას ფეხსამოსი და მიუწევა.

8. შუალამე იყო, შეკრთა კაცი, გადაბრუნდა და, აი, ქალი წევს მის ფერხთით!

9. და უთხრა (მას ბოაზმა): ვინა ხარ? და (ქალმა) მიუგო: რუთი ვარ მე, შენი მხევალი! გადმოშალე შენს მხევალზე შენი (სამოსელის) კალთა, რამეთუ ნათესავი ხარ შენ.

10. და (ბოაზმა) თქვა: კურთხეულ ხარ შენ უფლის მიერ, ჩემო ასულო! შენი უკანასკნელი წყალობა პირვანდელზე უკეთესია. ჭაბუკთა კვალს არ გაჰყევი, არც გლახაკს, არც მდიდარს.

11. და ან ნუ გეშინია, ჩემო ასულო. ყველაფერს აღვასრულებ შენთვის, რასაც კი მეტყვი, რამეთუ ჩემი ხალხის (ქალაქის) ბჭესთან ყოველმა (მდგომმა) უწყის, რომ მადლცხებული ქალი ხარ შენ.

12. და ან, მე თუმცა მართალია ნათესავი ვარ, მაგრამ ჩემზე ახლობელი ნათესავიც გყავს.

13. გაათიე ეს ღამე და, თუ დილით ის გამოგიხსნის, კეთილი, დაგიხსნას, და თუ შენს გამოხსნას არ ისურვებს, მაშინ მე თვითონ დაგიხსნი, ვფიცავ უფალს. ინეჭი დილამდე.

14. და იწვა (ქალი) მის ფერხთით დილამდე. და ადგა ადრე, სანამ კაცი თავის მოყვას იცნობდა. თქვა (ბოაზმა): არავინ შეიტყოს, ქალი რომ კალოზე მოვიდა.

15. და უთხრა (რუთს). მომიტანე მანდილი, რომ გახურავს, და მას ჩასაჭიდე ხელი. და მან ჩასაჭიდა ხელი, და მიუწეა ბოაზმა ექვსი (სანყაული) ქერის მარცვალი, დაადგა ზურგზე, (თავად კი) ქალაქში წავიდა.

16. და მივიდა (რუთი) თავის დედამთილთან. და მან ჰკითხა: ვინა ხარ, ჩემო ასულო? და (რუთმა) მას მოუთხრო ყოველივე რაც გააკეთა მისთვის იმ კაცმა.

17. და (რუთმა) მას უთხრა: ეს ექვსი (სანყაული) ქერი მომცა, თან მითხრა: ხელცარიელი ნუ მიხვალო შენს დედამთილთან.

18. და უთხრა: დაჯექ, ასულო ჩემო, ვიდრე შეიტყობ, საქმე რარიგ დასრულდება, რამეთუ არ დამშვიდდება ის კაცი, სანამ ეს საქმე დღესვე არ გასრულდება.

### თავი მეოთხე

1. და ავიდა ბოაზი კარიბჭესთან და დაჯდა იქ. და აი, მოდის ის ნათესავი, რომელზეც ბოაზი ლაპარაკობდა. და უთხრა: შემოიარე, დაჯექ აქ, მავანო! და (მან) შეიარა, და დაჯდა.

2. და მოიყვანა (ბოაზმა) ათი კაცი ქალაქის უხუცესთაგან და უთხრა: დასხედით აქ. და დასხდნენ.

3. და უთხრა (ბოაზმა) ნათესავს: ჩვენი მოძმის, ელიმელეხის, ყანის ნაკვეთი გაყიდა ნაომიმ, რომელიც დაბრუნდა მოაბის ველიდან.

4. და მე ვთქვი: ვაუნყებ შენს ყურს, ამ თქმით: იყიდე (ნაკვეთი) ამ მსხდომთა

# ისრაელის 34-ე მთავრობა

14 მაისის საღამოს ისრაელის მოსახლეობა ტელეეკრანს მისჩერებოდა — ინჟინერ ბ. ნეთანიასს მიერ მთავრობის შედგენის ვადა. მინისტრის პორტფელის მადიებელთა ლამის ორთვიანი მარათონი ერთობ მომქანცველი და სხვადასხვა პარტიის ლიდერთა მიერ ვაჭრობის (სწორედ ამ სიტყვას ხმარობს ისრაელის პრესა) საგანი აღმოჩნდა: თუ ნეთანიასს კოალიციას 61 და მეტი მანდატი ვერ შექმნიდა, მთავრობას არა „ლიკუდი, ე.ი. ნეთანიასს, არამედ მეორე ადგილზე გასული „სიონისტური ბანაკი“ ე.ი. იცხაკ პერცოვი შედგენდა ქნესეთში მთავრობის დამტკიცების წინ წარმოთქმულ სიტყვაში ბენიამინ ნეთანიასს არასტაბილური სიტუაციის ტრადიციასაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფოებრიობის 67-ე წელს ქვეყანა 34-ე მთავრობას ამტკიცებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ არჩევნების ჩატარება არამყარ პოლიტიკურ სიტუაციაზე მეტყველებს. და დასძინა რომ ისრაელში აუცილებლად უნდა შეიცვალოს მთავრობის შედგენის პრინციპი, დღეს არსებული სისტემა პოლიტიკურ პარტიებს ათასგვარი, ზოგჯერ სამარცხვინო მანიპულირების საშუალებას აძლევს.

ბინიამინ ნეთანიასს მიერ დღეს შექმნილი კოალიცია ერთობ სუსტია — მას პარლამენტში მინიმალური (ერთი ხმის) უპირატესობა აქვს და ქნესეთის 61 წევრს აერთიანებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი პარლამენტარიც რომ გადაუდგოს კოალიციას, მთავრობა დაიშლება და ქვეყანა ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობის წინაშე დადგება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბ. ნეთანიასს მიერ წარდგენილ მთავრობას 61 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 59 წინააღმდეგი გახლდათ.

ისრაელის ახალი მთავრობა ასე გამოიყურება:

- ბინიამინ ნეთანიასს** — მთავრობის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი,
- მოშე იაალონი** — თავდაცვის მინისტრი,
- სილვან შალომი** — შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი,
- ნაფთალი ბენეტი** — განათლების მინისტრი და დიასპორასთან ურთიერთობის მინისტრი
- არიე დერი** — ეკონომიკის მინისტრი, ნეგევისა და გალილეთის განვითარების მინისტრი,
- მოშე კახლონი** — ფინანსთა მინისტრი,
- იუვალ შტაინიცი** — ენერჯეტიკისა და ეროვნული ინფრასტრუქტურის მინისტრი,
- ისრაელ კაცი** — ტრანსპორტის მინისტრი, სადაზვერვო საქმეთა მინისტრი,
- მირი რეგევი** — კულტურისა და სპორტის მინისტრი,
- აილუტ მაკედი** — იუსტიციის მინისტრი,
- იოავ გალანტი** — მშენებლობის მინისტრი,
- დანი დანონი** — მეცნიერების, ტექნოლოგიისა და კოსმოსის საქმეთა მინისტრი,
- დავით აზული** — რელიგიის საქმეთა მინისტრი,
- ური არიელი** — სოფლის მეურნეობის მინისტრი,
- იარიე ლევინი** — შინაგანი უსაფრთხოების მინისტრი, ტურიზმის მინისტრი, ქნესეთისა და მთავრობის ურთიერთობის საქმეთა მინისტრი,
- ზაიმ კაცი** — სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი,
- ზეევ ელკინი** — აბსორბციის მინისტრი, სტრატეგიული უსაფრთხოების მინისტრი,
- ავი გაბაი** — ეკოლოგიის მინისტრი,
- გილი გამლიელი** — ქალთა, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის, ახალგაზრდობის დაწინაურებისა და პენსიონერთა საქმეების მინისტრი,
- ოფირ აკუნისი** — უპორტფელი მინისტრი კავშირგაბულობის სამინისტროში,
- ბენი ბეგინი** — უპორტფელი მინისტრი,
- იცხაკ ქოენი** — ფინანსთა მინისტრის მოადგილე,
- იაკობ ლიცმანი** — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე მინისტრის უფლებებით,
- მეშულა ნაჰარი** — განათლების მინისტრის მოადგილე,
- ციპი ხოტოველი** — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

## ლოზნიციური პარტიების აზრი:

**ავიგლორ ლიბარმანი** (წინა მთავრობაში — ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი) ამ მთავრობას არა აქვს არსებობის უფლება. ეს არის პრეტენზიული მთავრობა, თითქოს მემარჯვენეს, მაგრამ არ გამოხატავს ხალხის ინტერესებს. ამ ხელისუფლების მთავარი ნიშნულია თავის გადარჩენა — ხელისუფლებაში დარჩენა.

**იცხაკ პერცოვი:** „სიონისტური ბანაკის“ ლიდერმა პარტია „ავოდას“ თავმჯდომარე ქნესეთში მთავრობის დამტკიცებისას განაცხადა:

— ეს არის უპერსპექტივო მთავრობა, მას არა აქვს სამუშაო გეგმა და არც წარმატების იმედი აქვს.

ბენიამინ ნეთანიასს კი მიმართა: — საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჩემთვის გაქვს გადანახული, იქნებ, „სიონისტური ბანაკი“ კოალიციაში შემოვიდესო, მე არ შემოვალ მაგ კოალიციაში, დავრჩები ჩვენი პარტიის — „ავოდას“ იდეოლოგიის ერთგული და ვუხებლმძღვანელებოპოზიციას.

**რედაქციისაგან:** ამასთან უნდა დავსძინოთ, რომ იცხაკ პერცოვის გამოსვლაში პოპულიზმი და იაფფასიანი შანტაჟიც გამოსჭვივდა. იგი არ თუ ვერ ითვალისწინებს ისრაელის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. პერცოვმა ნეთანიასს უსაყვედურა არჩევნების დღეს არასწორი განცხადება გააკეთო, საპარლამენტო არჩევნების დღეს ბ. ნეთანიასს, მართლაც გააკეთა განცხადება, რომელიც დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მართლაც მოიცავდეს უხერხულობას (მიმართავდა, რა ისრაელის ებრაელ ამომრჩევლებს თქვა: არაბი ამომრჩევლები მდინარესავით მოედინებიან საარჩევნო პუნქტებისაკენ, თქვენ სადა ხართ?), მაგრამ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლებული უნდა იყოს: რომ არა ასეთი მონოდედა, დღეს ისრაელის ქნესეთში არა 13 არაბი დეპუტატი, ე.ი. 10 პროცენტზე მეტი, შესაძლებელია, 15 დეპუტატიც ჰყოლოდათ. ნეთანიასს ტრიბუნაზე გამოჩენისთანავე, ამ არაბმა დეპუტატმა ნივილ-კივილი მორთეს, იხმაურეს იყვირეს და დარბაზიც დატოვეს. რასაკვირველია, ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ებრაელი ხალხის, ისრაელის სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს და ამ ძალასთან პოლიტიკოსის კულის ქიციანი ისრაელს სიკეთეს არ უქადის.

## ციპი ხოტოველი — ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

როგორც ცნობილია, 14 მაისს პარტია „ლიკუდის“ ლიდერმა ბინიამინ ნეთანიასს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა ისრაელის მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელიც იმავე დღეს დამტკიცდა.



ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დამტკიცდა ქნესეთის წევრი ციპი ხოტოველი. ციპი ხოტოველი წარმოშობით საქართველოდანაა, მისი მშობლები სამტრედიის რაიონიდან, სოფელ კულაშიდან გადასახლდნენ ისრაელში, ციპი ისრაელში დაიბადა და აღიზარდა. იგი იურიდიულ-საადვოკატო მოღვაწეობას ეწეოდა და როგორც ამბობენ საკმაოდ წარმატებულადაც, ეს ნიჭიერი ახალგაზრდა ქალი ნეთანიასს შენიშნა და ყოველწლიურად ცდილობდა მის დაწინაურებას, რადგან ძალიან მოსწონდა მისი აზროვნების სტილი.

ციპი ხოტოველი მესამე კულაშელია, რომელიც ისრაელის ქნესეთის წევრი გახდა: პირველი იყო ეფრაიმ გური, შემდეგ აბრამ მიხაელი და ციპი ხოტოველი. იცხაკ გაგუ-ლა სენაკელი გახლავთ, ხოლო ნინო აბესაძე — თბილისელი.

## ახალი მთავრობის წევრებმა „საპარადო ფოტო“ გადაიღეს

ტრადიცია ასეთია: ისრაელის მთავრობის წევრები ქნესეთში დამტკიცებისთანავე ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად საპარადო ფოტოს იღებენ. 14 მაისს, როცა ქნესეთმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა, ასეთი ფოტოს გადაღება ვერ მოხერხდა, რადგან ქნესეთის სხდომა ლამის შუალამისას დამთავრდა.

19 მაისს ბინიამინ ნეთანიასს და მთავრობის ყველა წევრმა პრეზიდენტ რეუვენ რივლინის კანცელარიაში მოიყარა თავი. პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ ახალი მთავრობა ყველაფერს გააკეთებს ისრაელში მშვიდობისათვის, შეეცდება მოანერგოს ისრაელ-პალესტინის ურთიერთობა. ნეთანიასს პრეზიდენტს დაპირდა, რომ მისი მთავრობა განაგრძობს თანამშრომლობას ამერიკის ადმინისტრაციასთან. ნეთანიასს ისრაელში სიძვირუხეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მისი მთავრობა ამ საკითხზეც იზრუნებს..

პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა ახალ მთავრობას წაწამა უსურვა.



## ბინიამინ ნეთანიასს: დაღა ჟამი იერუსალიმის აყვავებისა

იერუსალიმის გაერთიანების დღეს ამ მარადიულ ქალაქში მოეწყო მანიფესტაცია — ქალაქის მაცხოვრებლები გამოვიდნენ ქუჩებში და დღესასწაულობდნენ იერუსალიმის დღეს.

მოზიემებს შეუერთდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიასს. იერუსალიმის 48 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე თავის გამოსვლაში ნეთანიასს თქვა:

— იერუსალიმი აღარასოდეს აღარ იქნება გაყოფილი, დასახიზრებული ქალაქი. ჩვენ იერუსალიმს სამარადისოდ შევინარჩუნებთ, როგორც ისრაელის განუყოფელ, გაერთიანებულ დედაქალაქს. იერუსალიმი ყოველთვის იყო ებრაელი, და არა რომელიმე სხვა ხალხის დედაქალაქი. ჩვენი ერი

აქ გაჩნდა, აქ დაიბადა. ჩვენი სახლი აქ არის და ცხადია, აქ დავრჩებით. ამ განსაკუთრებულ დღეს ნათელი ხდება, რომ გაყოფილი იერუსალიმი წარსულის კუთვნილებაა. მომავალი გაერთიანებულ იერუსალიმს ეკუთვნის. იგი აღარასოდეს აღარ იქნება გაყოფილი.

დაღა ჟამი იერუსალიმის აყვავებისა, ჩვენ განვაგრძობთ მის გაფართოებას, სხვადასხვა უბნების კეთილმოწყობას. წინ დიდი სამუშაო გვაქვს.

# გლობალური ფორუმი ანტისემიტის ტაოზაზა

იერუსალიმში, ერების სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა მეხუთე საერთაშორისო გლობალური ფორუმი, რომელიც განიხილავდა ანტისემიტის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. ფორუმი გამართა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ისრაელის დიასპორის სამინისტრომ. პირველი სიტყვა წარმოთქვა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ, შემდეგ გამოვიდნენ ისრაელის დიასპორისა და იერუსალიმის საქმეთა მინისტრი ნაფტალი ბენეტი, გერმანიის იუსტიციის მინისტრმა ზაიკო მაასი, პარიზის მერი ანა იდალგო, იერუსალიმის მერი ნირ ბარკათი.

მუშაობდა ცალკე სესია, რომელიც შეისწავლიდა ანტისემიტის საკითხებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სასიამოვნოა, რომ ამ სესიაზე საქართველო ნახსენებიც არ ყოფილა. ძირითადად საუბრობდნენ რუსეთში და უკრაინაში გამოვლენილ ანტისემიტურ აქტებზე.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო და რელიგიური მოღვაწეები.

გლობალური ფორუმის ინიციატორთა მიწვევით საქართველოდან ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო დამცველი — უჩა ნანუაშვილი, თბილისის საკრებულოს წევრი — გულიკო სუმბაძე, მსოფლიოს ქალთა ორგანიზაციის თანათავმჯდომარე — მარინე სოლომონიშვილი და მწერალი, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი — გურამ ბათიაშვილი.

ფორუმი დასრულდა ისრაელის ქნესეთის სპიკერის — იული ედელშტეინის გამოსვლით.

## დღეს უკვე უეჭველია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ნეონაზისტიზმის ეპოქაში

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს გამოსვლა ანტისემიტისადმი მიძღვნილ გლობალურ ფორუმზე



მოხარული ვარ მოგესალმოდეთ იერუსალიმში. იუბილედავად იმისა, რომ ჩვენი შეხვედრისა და დისკუსიის მთავარი თემა არც თუ სასიხარულოა, ძალიან მოხარული ვარ რომ ამ ქალაქში — იერუსალიმში გვევლინება.

70 წლის წინათ, როცა მეორე მსოფლიო ომი დასრულდა და ჰოლოკოსტის საშინელებანი საქვეყნოდ გახსნა, ზოგიერთი ფიქრობდა კაცობრიობა განიკურნებოდა სიძულვილის ერთ-ერთი უძველესი სენისაგან — ანტისემიტისაგან.

მართლაც, მეორე მსოფლიო ომის მომდევნო წლებში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ებრაელებისადმი სიძულვილის გამოვლენა აკრძალულია. ყოველ შემთხვევაში ასე იყო დასავლეთში — ლიბერალურ სამყაროში.

მაგრამ დღეს უკვე უეჭველია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ნეონაზისტიზმის ეპოქაში — ებრაელობა კვლავ ხდება გაკიცვისა და ცილისწამების ობიექტი, ეს ხდება ისეთ არატოლერანტულ რეგიონში, როგორც გახლავთ მაგალითად, ახლო აღმოსავლეთი და ტოლერანტულ სამყაროშიც — როგორც მოსალოდნელი იყო, დასავლეთში. ეს ხდება ბეირუთში, დამასკოში, თეირანში, მაგრამ ასევე სასტიკ ფორმებში ხდება ტულუზაში, პარიზსა, თუ ბრიუსელში იმდენად რამდენადაც, ცილისწამებას უსათუოდ მოსდევს ებრაელებზე სასტიკი თავდასხმა. ებრაელებს თავს ესხმიან მხოლოდ იმის გამო, რომ ებრაელები არიან.



ებრაელებს უფლება აქვთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში იცხოვრონ უსაფრთხოდ, თავისუფლად. მთავრობები, ხელისუფლება პასუხისმგებელია, რომ მათი უფლებები ხორცშესხმული იქნას. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და

მადლობა ვუთხრა ყველა იმ მთავრობას, რომელიც სწავლობს ანტისემიტის გამოვლინების ყოველ ფაქტს და თავს ვალდებულად თვლის დაიცვას ებრაელთა უფლებები, ადამიანის სამოქალაქო უფლებები, თავისუფლება.

მაგრამ ებრაელებს იმის უფლება აქვს ჩვენ შემოგვიერთდნენ — საცხოვრებლად ჩამოვიდნენ ისრაელში და თუ ისინი ამას გადამწყვეტენ, ჩვენ მათ გულში ჩავიკრავთ.

ვიდრე ჩვენ აქ ვსაუბრობთ, აითოლების რეჟიმი საერთაშორისო შეჯიბრს აწყობენ — ისინი ატარებენ ჩვენი შეხვედრის მსგავს ყრილობას, მატს შეკრებას საპირისპირო მიზანი აქვს. იქ ერთმანეთს ჰოლოკოსტის უარმყოფელნი ეჯიბრებიან. ეჯიბრებიან იმაში, ვინ უფრო მეტ და დამაჯერებელ საბუთს წარმოადგენს საიმისოდ, რომ ჰოლოკოსტი არ ყოფილა. ისინი უარყოფენ ჰოლოკოსტს დაპარალელურად ჩვენი ერის ახალ გენოციდს ამზადებენ.

მე არ ვიცი შევძლებთ თუ არა ჩვენ ანტისემიტის აღმოფხვრას, მაგრამ ის კი ვიცი, რომ: თუ ანტისემიტის არ შევებრძოლებით, თუ წაუფრუებთ და გაძლიერების საშუალებას მივცემთ, მისი ალი გავრცელდება, გაძლიერდება და ყოველ ჩვენგანს, ჩვენ ყველას ჩაგვყლაპავს. ჩემი აზრით ეს არის მეოცე საუკუნის მთავარი გაკვეთილი.

ამიტომ: სამართლიანობის სახელით, კაცობრიობის მომავლის სახელით, ჩვენი საერთო მომავლის სახელით ყველა უნდა აღვუდგეთ ანტისემიტის — ყველა ერთად უნდა შევებრძოლოთ მას. ებრაელი ხალხი, ყოველი წესიერი ადამიანი მოგესალმებათ თქვენ. მადლობელი ვარ იმის გამო, რომ ჩამოხვედით იერუსალიმში. გმადლობთ!

ბ. ნეთანიაჰუს სიტყვის შემოკლებულ ვარიანტს ვბეჭდავთ იმ სახით, როგორც იგი გავრცელდა საიტზე [mignius.com](http://mignius.com)



## საქართველოს საპატიო საკონსულო იმრუსალიმში



5 მაისს იერუსალიმში საქართველოს საპატიო საკონსულო გაიხსნა. საპატიო საკონსულოს გახსნას ესწრებოდნენ ისრაელის იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან გურგენიძე, საქართველოსა და ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები.

ავიგდორ ლიბერმანი საკონსულოს გახსნის შემდეგ განაცხადა: — ისრაელი და საქართველო ყოველდღიურად აღრმავებენ თანამშრომლობას საერთაშორისო არენაზე. ამის ნათელი დადასტურებაა ამ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. იერუსალიმში საპატიო საკონსულოს გახსნა კი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია და ჩვენს ურთიერთობას განამტკიცებს.

ლევან გურგენიძემ თავის მხრივ აღნიშნა ორი ქვეყნის წარმატებული თანამშრომლობა: — საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობაში, ფაქტიურად არ არის თავისაუფალი სფერო. ჩვენი ხალხები რომ არ თანამშრომლობდნენ. დარწმუნებული ვარ, იერუსალიმში საკონსულოს გახსნა ამ პროცესს გააღრმავებს.

იერუსალიმში საქართველოს საპატიო კონსული გახლავთ იგალ ამედი.

# ნატრიონი

(ძველი რვეულიდან)

## დავით აგმონი-აჯიაშვილი



სწორედ ამ წუთში ჩვენი განახლებული სამშობლოს ძველთუძველესი სატახტო ქალაქის მინაზე დავაბიჯებ, სადაც გუშინსალამოდან ვიმყოფები, 1925 წელს საქართველოდან რეპატრირებული ახლობლის მოსანახულებლად მოსული.

დღევანდელ დღეს, მას შემდეგ, რაც კი ჩემი მდგომარეობა აქ ყოფნის საშუალებას შუადღემდის მაძლევს მხოლოდ, და მე, როგორც მოახალშენე, ყველანაირად ვცდილობ და ვესწრაფვი, – აქაურ კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს თუ ადგილებს ერთხელ კიდევ შევავლო მონატრებული მზერა და ერთხელ კიდევ ავისრულო მათთან მიკითხვის ნადილი, ჩერჩილის ერთი ასეთი ცნობილი ფრაზა მახსენდება: „რაოდენ სასურველია, რომ იერუსალიმი ებრაელებს, დასაბამიდან სამარადისოდ მისივ სახელის მოხვეჭისათვის ამქვეყნად მოვლენილებს, დაანებონ!“

აი, უკვე ერთხელ კიდევ ვაშურებ ხსოვნის აქაურსავე უმაღლეს პორტალებს და იმგვარი გრძობა მეუფლება, – ჰვავს, არასოდეს დავიღვები ცქერით ამ ქალაქზე, რომლის მთელი წარსული მინიატურული სახეა ებრაელი ხალხის წარსული-სა; ამიტომაც მეოცნებება, რომ ეს ნააგვისტოვარი ელვარება ზეცისა, სად ფერადების იშვიათი ნაირგვარობაა, თანაბარის სინაზით ელამუნებოდეს ჩვენს – ნიგნის ხალხის – გარდასულ ჟამთა აჩრდილებსაც და თანადროულობის ფანტასტიურ სიცხადეებსაც.

განსაკუთრებულ ენიგმას წარმოადგენს იერუსალიმი ჩემთვის, რომლის სახელის მხოლოდ ერთხელ წარმოთქმაც კი, ალბათ, მაღალ იდეალებზე ფიქრისა და მსჯელობის წყურვილს აღძრავს ხოლმე ადამიანებში.

ცნობილია: კულტურულად ყოველი მაღალგანვითარებული ერი რელიგიასთან იყო დაკავშირებული; რელიგიის მიხედვით ხდებოდა თავისებური შემონახვა ერის კულტურული სიმნიფისა; კულტურათა წყაროსთვის ნაკადებს რელიგიის ნიადაგი ჰქონიათ კალაპოტად მუდამ; მთელს ებრაულ სამყაროში ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითშეგნების მატარებლის მონუმენტური როლი წილად ხვდა დასაბამითვე „ღვთის სახლად“ სახელდებულ იერუსალიმს.

მსოფლიოს ქალაქთაგან უხანდაზმულესია იგი, ნამდვილი მესაძირკვე თავისი ქვეყნისა და ერის რელიგიურ-კულტურული არსებობისა და, ამასთან ერთად, მისივე დღევანდლობის სამომავლო ფიქრთა უკიდევანო სრბოლით შეპყრობილი.

კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ უხსოვარი დრო-ჟამიდან, უახლესი ეპოქების ჩათვლით, დღევანდლამდის მხოლოდ იმ ხალხებმა წამოაყენეს და განავითარეს ნაციონალური კულტურის შექმნის იდეა, ვისაც ქალაქი გააჩნდა; სწორედ ამ ჩვენი ისტორიული მხარისთვის საზოგადოებრივი პროგრესის მანათობელი შუქურა და კულტურის პიონერი იმთავითვე იერუსალიმში გახდა, გულმხურვალე მამულიშვილების ძველ დიდებთა განახლების მედაფდაფე და სახელმწიფოებრივი ტრადიციების რომანტიკით ფრთამესხმული, როდესაც, ალბათ, ისეთი უშუალო მოსჩანდა ჰორიზონტი, როგორც ზმანება...

ხოლო ხსენებულ რომანტიკას ჰქმნიდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ის გაუხუნარი შედეგები, რომელნიც წარმოშვა ძველ ისრაელთა თავქალაქის თავისებურად ლეგენდარული მშვენებით შეძრულმა, აზრობრივად რაფინირებული სულიერების აღზევებამ.

განა ჩვენი უთქველესი და უპირველესი ურბანი-ისტორი სინამდვილის დაწყებისთანავე არ მოხდა ჩვენივე ყველაზე უწინარესი ლიტერატურული ძეგლების ხორცმესხმა („დავითნი“, „ქებათა-ქება“, „ეკლესიასტე“, „ნემთა“, წინასწარმეტყველთა ნიგნები...)?

განა იმ რეალობამ არ დააყენა დღის წესრიგში პირველი ტაძრის – იგივე ბეთ-ჰამ-მიკდაშის – აგების აუცილებლობა, რის მეოხებითაც იერუსალიმს, როგორც ქალაქს, რომელსაც ებრაული სულიერებისა და საზოგადოებრიობის ჰეგემონობა ეპყრა ხელთ, კულტურტრეგერის მისია და მოვალეობა მიანდო ბედისწერამ?..

\*\*\*

რაბანიული მწერლობა მიუთითებს, რომ იერუსალიმი, ქვეყნიერების შემოქმედის მსგავსად, სამოცდაათი ეპითეტის, ძველი ებრაული ფილოსოფიური შედეგების ავტორთაგან დანათლულის, მატარებელია; ამ განსაცვიფრებლად მშობლიურ პირველსაცხოვრისში, სიმბოლურად, მთელი სიონის ბჭენი იგულისხმება ზოგჯერ (ცნობილია: ძველ გალილეაში დაწერილი და რედაქტირებული თალმუდი „იერუსალიმურ თალმუდად“ მოიხსენიება დღემდის; და ერთი კიდევ: ძვირფასი საქართველოს მკვიდრი ჩვენი ძველები ამა თუ იმ დაკარგული ნივთის მალე ნახვისაგან სიხარულის გამოხატვასთან ერთად, ნატვრას გამოსთქვამდნენ ხოლმე „ხასი იერუსალიმის“, როგორც ნატრიონის, ასევე მალე ნახვაზე).

II

ახლაც ისეთი უშუალო მოსჩანს ჰორიზონტი, როგორც ზმანება. კარგა ხნის გათენებულა იერუსალიმში უკვე. მინდა მჯეროდეს, რომ სილამაზით აქაურ დაფონს დასავლეთში, – მაგალითად: ათენის, რომისა თუ მადრიდის, ხოლო აღმოსავლეთში, – მაგალითადვე: ქაიროს, დამასკოსა თუ ბაღდადის განთიადები ვერ დაეღარონ!

აისი ანათებს უკვე ყველაგან, ფრთიან ავრორას ეტლს მოყოლილი; დავაბიჯებ ფერფლისგან მკვდრედით აღმდგარი ამ ქვეყნის საოცნებო ქალაქის მინაზე, მხარს ვუსწორებ იაფოსა და კინგ ჯორჯის ქუჩებს, თან ვამჩნევ, რომ შეხვედრებს ველოდები მრავალგვარი განცდებით სავსე წარსულის ქრონიკებთან, როცა ამ მოედნებს, ამ პასაჟებსა და ამ პროსპექტებს დანდობლად ვსერავ და როცა შორეთს მაგონებს ეს, მე მგონი, ჩემთვის დასაბამითვე ნაცნობ გარემოთა ნაზი უბრალოება.

ცოტა ხანში კონტრასტებს ვგრძნობ და უცებ სადღაც ძველი ქალაქის კონტურები კრთებიან – ჩემს წინაშე სიონის მთებია; სიონი! სიონი! და, ჰა – მაგონდება ესაიადან:

„არ დავდუმებდი შენთვის, სიონ, და არ დავცხრები შენთვის, იერუსალიმ!“ – ამ სიტყვებს ვიწურებ და გაოცება მიპყრობს: აგერ – პირველყოფილ ფერუხვობას მოუცავს ზეთისხილის მთა, როცა დავითის კოშკს და გოდების კედელს მთელი უშურველობით მზე დაჰნათის გვირგვინოსანი, რომლის მეფურობის მიმართ ჩვენს წინაპართა ხსოვნისაგან მოგვრილი განცდა მათსავე უკვდავებაზე იმდენად წრფელია, რომ ვინძლო შემოქმედებითა ცეცხლმა აღანთოს სახელისათვის პოეტის გული, ეს უსახელო ვიზიონერი, რომლისთვისაც „დავითის ქალაქი“ ისტორიის გარიჟრაჟიდანვე იყო არა მხოლოდ ებრაული სახელმწიფო მმართველობის, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის დიაპაზონის სიტყვაკაზმული მწერლობისა და ფილოსოფიურ აზროვნებათა მყარი ციტადელი.

ჟამთა სრბოლაში ებრაული სულიერების კულტურის არც ერთი ნახნაგი არ ეწოდა ისე იერუსალიმის იდეალიზაციას, როგორც მრავალსაუკუნოვანი, ღრმადეროვნული ჩვენი პოეზიისა და პროზის ნერილობითი თუ ზეპირი შედეგები; და სწორედ ჩვენმა უჭკნობმა ბელეტრისტიკისა და პოეტური აზროვნების ნიმუშებმა მთელი კაცობრიობის თვალში განუზომელი დიდებითა და

სიყვარულით შემოსეს იერუსალიმის მაღალი და სპეტაკი შუბლი, რომლით თავმონონებაც აბსოლუტური გამართლება ჩვენივე სულის უკვდავებისა.

\*\*\*

ახალი დღე შემოდის დედაქალაქის კარიბჭეებში. რომელიღაც ფრინველთა გუნდმა გადაუფრინა ომარის მიზგითს. ყოველ შენობასთან, ნანგრევთან თუ ციხესთან იგრძნობა, რომ შემოქმედისა თუ „ნიგნის ხალხისაგან“ თავიდანვე შეუწყვეტლად შექებული ეს „უფლის ქალაქი“, ძვირფას საფლავებთან ერთად, ერთ დროს გადაქელილი შურისმაძი ძიებელი ნემზიდისგან, ამჟამად კი ახალი ეპოქის ძალისხმევით გულმომცემული, ერთგვარი სტოიციზმის გამოვლინებით ყველანაირად ღამობს ღვანებას მარადსაოცნებო მშვიდობისათვის, რის უმაღლეს რეგისტრში აყვანასაც ყველანაირადვე ეშურვის თუმცა დღევანდელ იერუსალიმს ცნობილი ებრაულ-არაბული კონფლიქტი საშველს არ აძლევს, რომლის დასასრული ჯერ კიდევ არა სჩანს; არადა, როდის გაბრწყინდება ბოლოსდაბოლოს სიონი, თავდაპირველი, შეუცვლელი ოაზისი ჩვენს მარადუქრობელ და ცხოველყოფელ სასოს ღამპართა? როდის გაიღება საბოლოოდ ულურჯესი ზეცის კარები და იქიდან მიღებული ღვთაებრივი ნათელის ემანაცია განუსჯელობასა და ქაოტიურობაზე იზეიმებს სამარადისოდ?..

III

ებრაული შემოქმედებითი გენიის გარდა, მსოფლიოს მრავალ ეროვნებათა კულტურის სხვადასხვა პროფილი ეწეოდა მუდამ აპოლოგიას იერუსალიმისას, რომელიც ძველ წელთა აღრიცხვით პირველი ათასწლეულიდან (1000 წელს) მეფე დავითის მიერ ცხადდება იუდეა-ისრაელის დედაქალაქად.

შემდგომ ამისა, აქ შენდება, სოლომონ მეფის ბრძანებისამებრ, იერუსალიმის განთქმული ტაძარი (ბეთ-ჰამიკდაშ), რომელსაც წლების შემდეგ ოქროს ხანა – ძველი დიდება – ნელინელ უქრება და აუმღვრეველი ცხოვრების მზის ჩასვენებაც სულაც ხელს დარევს – ნაბუქოდონოსორი იპყრობს, აოხრებს მას ძირფესვიანად და მის მკვიდრ მოსახლეობას ბაბილონში წაასხამს ტყვედ; სამოცდაათი წლის შემდეგ სპარსეთის მეფე კიროსის მიერ გააზატებული ტყვე ებრაელობა ბრუნდება მინასთან გასწორებულ თავის მამულში და იწყებს მის აღორძინებას იერუსალიმის იავარქმნილი ტაძრის განახლებით.

თუმცაღა მალე ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენას ისტორიის ასპარეზზე ახალი დაძაბულობანი მოაქვს იერუსალიმისათვის; და უკვე კარგა ხნის ჩამომდგარი ჰელინისტური პერიოდის საშიშროებათა წინააღმდეგ გმირი მაქაბელების წარმატებულ გამოსვლათა მიუხედავად, აი – პომპეუსის ლაშქრობები ამზადებენ ნიადაგს რომაელების მიერ იერუსალიმის ექსპანსიისა და მეორე ტაძრის დაცემისათვის; ჩვენი წელთაღრიცხვით სამოცდაათ წელს რომაელთაგან უკვე დაპყრობილია იერუსალიმი, რომელიც მატარებე-

# მოქალაქის მონოლოგი

გასული წლის 8 ოქტომბერს თბილისის „კინოს სახლში“ გაიმართა ქართველი მომღერლის ენრიკო ჯანელიძის შემოქმედებითი საღამო და ფილმ „ბენეფისის“ პრეზენტაცია, რომელიც მიეძღვნა მომღერლის 65 წლის და სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს. გაზეთი „მენორა“ ამ ფაქტთან დაკავშირებით იუბილარს ესაუბრა:

— ბატონო ერიკო, გილოცავთსაიუბილეო თარიღს და გთხოვთ კიდევ ერთხელ გვიამბოთ თქვენი და თქვენი შემოქმედების და, რა თქმა უნდა, ფილმის შესახებ?

— დიდი სიამოვნებით, პირველ რიგში დიდი მადლობა მოწვევისთვის, რამდენჯერმე მქონდა ბედნიერება თქვენს გაზეთთან ურთიერთობისა.

ბავშობის ასაკიდან დავიწყე სიმღერა, ცეკვა სკოლაში და ყოფილ პიონერთა სასახლეში. მივსდევდი სპორტის სხვადასხვა სახეობას. ბავშობიდანვე დედამ ჩამინერგა შრომის სიყვარული. თვითონ დაახლოებით 40 წლის განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ პოლიტიკურ ლიტერატურისა და სასოფლო სამეურნეო რედაქციებში უფროსი რედაქტორის თანამდებობაზე. ბავშობიდანვე ჩემს რეპერტუარში გაჩნდა სიმღერები მრავალ ენაზე. ქართული და რუსულის შემდეგ, იტალიურ, ესპანურ, ფრანგულ, ებრაულ, ინგლისურ ენებზე. დავამთავრე საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვმღეროდი ვაჟთა კაპელაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა თემურ ქვეციშვილი, ვიყავი სოლისტი, ასევე სოლისტი საესტრადო ორკესტრისა ნუგზარ ედილაშვილის ხელმძღვანელობით. პარალელურად დავამთავრე საქართველოს სახელმწიფო საესტრადო სასწავლებელი. დაიწყო კონცერტები, საგასტროლო მოღვაწეობა საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, დაიხვეწა რეპერტუარი. გავხდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი, ანსამბლებისა „არმაზი“, „ლალე“, „ოროველა“, პარალელურად ვმღეროდი საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის ორკესტრში. გამიჩნდა დიდი სურვილი ჩემი შემოქმედება გამეტანა ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტებზე, გავცნობოდი მათ კულტურას, ღირსშესანიშნაობებს. ჩემი სურვილი და ოცნება რეალურად იქცა. შედეგმაც არ დააყოვნა, მწყალობდა ილბალიც და ...

— მოხვდით ამერიკის შეერთებულ შტატებში. უფრო დეტალურად გვიამბეთ როდის და როგორ?

— მოგახსენებთ. 1976 წელს ოდესის საზღვაო სანაოსნო სამმართველომ თხოვნით მიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორს აპოლონ კონსტანტინეს ძე ყიფიანს გაეგზავნა ქართული საესტრადო ანსამბლი ა. შ. სამუშაოდ რომელსაც ქართული და რუსული სიმღერების გარდა რეპერტუარში ექნებოდა ინგლისური, იტალიური, ესპანური, ფრანგული სიმღერები. გამომოძახა ბატონმა აპოლონმა და მკითხა: „ბოძო, არ გინდა შტატებში წასვლა?“ დიდი ხნის ოცნება ამიხდა. ცდუნება იმდენად დიდი იყო რო 4 თვის ფეხმძიმე მეუღლე თბილისში დავტოვე და ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ ანსამბლ „სალალობო“-სთან ერთად ამერიკაში გავემგზავრე. 6 თვის განმავლობაში ჩრდილო, სამხრეთ ამერიკა თუ კანადა გადაიშალა თავისი მშვენიერებით და ღირსშესანიშნაობებით ჩემს თვალწინ. თუმცა გზაში ატლანტიის ოკეანეში, ბრმუდის სამკუთხედის გავლა მოგვინია. 7-8 ბაღიან შტორმში მოხვდით ციკლონში. 3 დღე სანოლიდნ არ ავმდგარვართ და ჩვენი კვების რაციონში მხოლოდ „ბორჯომი“ და ორცხობილა იყო. როგორც იქნა, ჩავედით ჯაზის სამშობლოში - ახალ ორლეანში. შემდგომ სუპერ ლაინერები „შოთა რუსთაველი“, „მაქსიმ გორკი“, „ტარას შევჩენკო“, „ივან ფრანკო“, სამოგზაურო ფირმებთან „NECERMAN“, „GRANDI“, „VIAGI“, „TRANSTOURCTS“. და სხვა. 16-ჯერ მხვდა ნილად მსოფლიოს გარს შემოვლა დაახლოებით 18 წლის განმავლობაში. 4-ჯერ რიო დე ჟანეიროს კარნავა-

ლი, კუბის, კანისა და ვენეციის ფესტივალები, იტალიის 1990 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 1991 წელს თბილისში „პეტრე პირველზე“ მიმინვიეს ფიოდოროვის თვალის კლინიკასთან სამოგზაუროდ ინგლისში, კერძოდ გიბრალტარში 10 თვის განმავლობაში. უამრავი შთაბეჭდილებები, რომლის ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

— რომელ წელს დაბრუნდით საქართველოში?

— 1994 წელს. გემების მუსიკალური სალონები და საელჩოებში კონცერტები შეცვალეს, სახმელეთო საკონცერტო დარბაზებმა, საქართველოში თუ საზღვარგარეთ. ჩამოსვლისთანავე მიმინვიეს საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის ორკესტრში შემდეგ ანსამბლ „ორერას“ პროდიუსერის სოსო აბზიანიძის მიწვევით, ვიმოგზაურეთ დაახლოებით 100 კონცერტით საქართველოში, თუ საზღვარგარეთ. გაიზარდა პოპულარობა, დაიხვეწა რეპერტუარი. 8 როკენროლისგან შექმენი 2 პოპური როკენროლების ტემებზე, გადავიღე დაახლოებით 15 კლიპი, „ბებერი მეარღნე“, „ვერის უბნის ტანგო“, „ბუონა სერა, სინიორინა“, „ბუი ბუი ბუი“, „როკენროლების პოპური“, და მრავალი სხვა, რომელთაც საქართველოს ტელეარხებზე დაახლოებით 1000-ჯერ მაინც გაიჟღერეს. ასევე უცხოეთის სხვადასხვა სახელმწიფოებში. 12 ჯერ ჩ-ზე გავიდა „ბებერი მეარღნე“. 2005 წელს გადამიღეს ტელეარხ 202-ში სერიალში „მაკენას ოქრო“ მთავარ როლში.

— როგორც ვიცით, ისრაელშიც მოღვაწეობდით.

— რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით გავიხსენებ ამ პერიოდს. 1997 წელს მქონდა ბედნიერება ისრაელში ყოფნისა დაახლოებით 1 წლის განმავლობაში. თელ-ავივის ჯაზ-კლუბ 18 ჩ-ში. ასევე მქონდა კორპორატიული საღამოები, ხშირი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ქართველ ებრაელებთან. პარალელურად ვამზადებდი ებრაელ ბავშვებს სიმღერასა და ცეკვაში. წლის ბოლოს ამკელონში ერთ-ერთი სოლო კონცერტის შემდეგ შემომთავაზეს 10 სოლო კონცერტი ისრაელის ქალაქებში მაგრამ დედის ავადმყოფობის გამო ვერ დავრჩი. სამწუხაროა და დასანანი, თუ მიმინვივევ, კვლავ ვენვევი ისრაელს.

— რამდენი სიმღერაა თქვენს რეპერტუარში და რამდენ ენაზე?

— დაახლოებით 2000-მდე სიმღერა 22 ენაზე. მოგეხსენებათ, მე მრავალ ენაში ვმუშაობ, როკი, როკენროლი, ტრადიციული ჯაზი, ქალაქური, ქართული საესტრადო, ქართული თუ რუსული რომანსები, საოპერო არიები, ნეპოლიტანური სიმღერები, ებრაული, აფრიკული, საზღვაო სიმღერები და მრავალი სხვა, რომლებსაც შესატყვის კოსტიუმებს, თუ აქსესუარებს მოვარგებ ხოლმე. მაყურებელი შინ თუ გარეთ მაღლიერებას გამახატავს ჩემს მიმართ ჩემი ასეთი დამოკიდებულების გამო.

— რამდენიმე თვის წინ შედგა თქვენი იუბილე და შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი ფილმის პრეზენტაცია, უფრო დანვრილებით მოგვიყვით ამის შესახებ?

— 1994 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 20-30 წლის დაგროვილი შთაბეჭდილებები, საზოგადო მოღვაწეთა, თუ ხელოვნების მუშაკთა ინტერვიუები ჩემს შესახებ, კონცერტები, ვიდეო კლიპები, ტელეგადაცემები და მრავალი სხვა საინტერესო, შევკარი, დავამონტაჟე და მივანოდე ჩემს ძვირფას, საყვარელ მაყურებელს.

8 ოქტომბერს კინო სახლის დარბაზი სავსე იყო იმ ადამიანებით, რომლებმაც ჩემი სიხარული გაიზიარეს და ასევე ის მნიშვნელოვანია ისფაქტიც, რომ „ქალდეას“ აკადემიის პრეზიდენტმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ვაჟა ეგრისელმა აქვე მომანიჭა აკა-



დემიის აკადემიკოსობა, ხოლო ოქტომბრის თვის ბოლოს „ფაზისის“ აკადემიის პრეზიდენტმა ნუგზარ ნადარეიამ — ამ აკადემიის აკადემიკოსობა.

— ბატონო ენრიკო, ამჟამად რით ხართ დაკავებული?

— ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემს ფილმში მიიღო მონაწილეობა და გვერდში მედგა. ბატონებს: ჯ. ჩარკვიანს, რ. მიშველაძეს, გ. ბურჯანაძეს, გეი-დარ ფალავანდიშვილს, თ. ქვეციშვილს თენგიზ და ვახტანგ გაჩეჩილაძეები, გენო ნადარაშვილი, ჯ. ხუხაშვილს, ჯემალ ლალანიძე, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, ამირან შალიკაშვილი, ზ. გომაძე, ჩემი კოლეგები თემურ ნიკოლაური, მ. სეფაშვილი კ. ვაშალიძე, ზ. მანაგაძე გ. მაჭარაშვილი ი. მენთეშაშვილი თ. სიჭინავა ზ. კობეშვიძე. დიდი მადლიერების გრძნობა მინდა გამოვუხატო ზ. ურუშაძეს და ელდარ შენგელაიას კინოსახლის დარბაზის უსასყიდლო დათმობისათვის ამ დღეს, და რა თქმა უნდა, ჩემს ძვირფას მაყურებელს, რომელმაც ნახა ფილმი დარბაზში, და ყველა მათ, რომლებმაც ნახეს და ნახავენ ყოფილბე-ზე ენრიკო ჯანელიძე ბენეფის. ფილმი უკვე რამდენჯერმე გავიდა ქათულ თV-ზე. ბესო ჩუბინიძემ გაშუქა „ობიექტივი“. ასევე გაშუქდა თV-3-ზე რადიოები „არ დაიდარდო“, „სპუტნიკი“ და „პიკის საათი“. სულ ახლახანს-- 12 მაისს ერეკლე საღლანიძე მიმინვია ტელეკომპანია „ობიექტივი“, რომელსაც ნანახი ჰქონდა ჩემი ფილმი და დიდი გადაცემა მიუძღვნა ამ ფილმს. ხოლო 18 მაისს ტელეკომპანია ახალ საქართველოში გივი საიხარულიძემ და ჰამლეტ გეგამ კვლავ ფართოდ გააშუქეს ჩემი ფილმი, რის შემდეგ სრული მეტრაჟით კიდევ ერთხელ გაუშვეს ჩემი ფილმი „ბენეფისი“. ასევე გაშუქდა ჟურნალ „თბილისელებში“, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. ყველა დიდი მადლობა.

— მომავალი გეგმები შესახებ?

— ვმუშაობ ახალ რეპერტუარზე 3 მაისს გვეწვია დელეგაციები შვეიცარიიდან, ნორვეგიიდან და ფინეთიდან მეგობრული ვიზიტებით, ობოლ ბავშვშვთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის ლია პაპიაშვილის მოწვევით. მათთან შეხვედრები მუსიკალურად მე გავაფორმე. რის შემდეგაც მიმინვიეს ნირვეგიაში. კარგია რომ დათბა და ალბათ, საკონცერტო მოღვაწეობა უფრო გახშირდება. იმედს არ ვკარგავ. ზაფხულში დაგეგმილია სოლო კონცერტები თიანეთში, სიონში, მესტიაში. 26 მაისს — ახალციხეში. წინასწარ მინდა მივულოცო თქვენი გაზეთის მკთხველსა და მთელ საქართველოს დამდეგი დამოუკიდებლობის დღე და ყველა შემდგომი დღესასწაული. წინსვლა, ბედნიერება და დიდი ცხოვრება არ მოგშლოდეთ. დიდი მადლობა გაზეთ „მენორას“, პირადად თქვენ. გისურვებთ მრავალრიცხოვან ერთგულ მკითხველს. მარად თქვენი პატივისცემით ენრიკო ჯანელიძე.



ლია მათგანვე შერქმეული სახელისა – ელია ცაპი-ტოლინა (ელია კაპიტოლინა).

ქრისტიანობის ჩასახვასა და გავრცელებასთან ერთად, ჯერ რომის, – ხოლო მერე რომისავე მემკვიდრე ბიზანტიის იმპერია აბსოლუტური მფლობელი ხდება ებრაელთა სატახტო ქალაქისა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეშვიდე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის თხუცმეტწლოვან მპყრობელობას მასზე) 638 წლამდის, როდესაც მუსლიმი არაბები იპყრობენ მას, რომელთა სხვადასხვა დინასტიაც მთელი 300-400 წლის განმავლობაში ბატონობენ მასზე, შემდეგ მცირე ხნით, მაგრამ მაინც მოაქვთ აქ „სისხლი და ცხედრები“ სელჯუკებს, ხორმაკივით მოვარდნილებს, რომელთაც მოჰყვებიან ჯვარის ნები ევროპიდან, მათივე მოჩვენებითი მტკიცებით, გამათავისუფლებელი იერუსალიმისა და მაცხოვრის საფლავისა, რომლებიც სისხლის წვიმებს წაუღეკავთ; მოდიან სალადინი, ხორაზმელები, მამლუქები და დედამიწაც აგონიას მოუცავს!..

ბიზანტიის იმპერია წყვეტს მსოფლიო ჰეგემონობას და თურქეთის ოტომანთა იმპერიის მფლობელობაში გადადის იერუსალიმი, რომელზედაც, ასწლეულების შემდეგ, ცნობილი ბრწყინვალე პორტას მმართველობის მაგივრად, ბრიტანეთის მანდატი ვრცელდება, უკვე...

ხოლო მას უკან, რაც ებრაელი ერი ათასწლოებით დამონებულ დედაქალაქს მონობის სირცხვილისაგან იხსნის და წარსულისაკენ ნოსტალგიით აღარ იყურება, მისი ცხოველი ენერჯია, პათოსი და პატრიოტიზმი ნათელი მერმისის დამამკვიდრებელია, როდესაც მთელი ეს ანმყო მისსავე ეროვნულ სუვერენობაზე ფიქრს მოუცავს.

\*\*\*

იერუსალიმი, რამაც უხსოვარი დროიდან მოყოლებული ჩვენს ეპოქამდის სხვადასხვა ინვაზიების შედეგად უცხოური იერი შეიძინა, დღეს ებრაული ქალაქია სრული, თავისი მარადიული გერბით, რომელიც წარმოადგენს გამოსახულებას ძველი ქალაქის გალავნისა და ზეთისხილის შეფოთილ რტოთა ფონზე ზეაღმართულ ლომის ბოკვერისას, – ბიბლიის მიხედვით, იუდას ტომისა და მისსავე სამეფოს ძალმოსილების უკვდავ სიმბოლოს.

და სწორედ ეს დღე ქმნის სხივიანი თვალებით მომავალს; თუმცა მაინც ისტორიის ხსოვნაა ჩვენი მიუცილებელი მეგზური ჩვენსავ პლანეტის ცხოვრებისეულ გზებზე...

IV

ისტორია ისტორიად და ჩვენი თანამედროვე დედაქალაქის დღევანდლობა, რომელიც ამ ლამაზად სევდიან სექტემბერს ერთგვარ ნათელს ჰფენს, ოპტიმიზმის ოპტიკიდან მონამუქს, ზეალ-მტაცია მეტად; პროსპექტებსა და მოედნებზე, ბალებსა და სკვერებში ახალი რეალობის კოლორიტით მოლივლივე სივრცეთა ფარდა ერთ მთლიან პანორამად მოსჩანს.

განახლებას მოუცავს ყოველივე, სადაც არ უნდა გაიხედო კაცმა; დიდი აღმშენებლობა ზეობს და ზეიმობს; ყველგან – ახალი საცხოვრებელი კორპუსები, ახალი გიმნაზიები, ახალი კონოთეატრები. მთელი ქალაქის განაშენიანებაში პრიორიტეტი იერუსალიმური თელი ქვას აქვს მინიჭებული, რისგანაც აგებულ საცხოვრებელ სახლებზე, საზოგადოებრივ-სამოქალაქო და კულტურულ დანესეზულებებზე თვალის უბრალოდ შევლებაც კი გულს ახარებს, ხოლო მშობლიური სითბოს მოზღვავება აქაური მიწისა, რომლის სისლხორცეულ ნაწილადაც ეს ქვა – თეთრი ნახევარმთვარის მედალიონი – ითვლება, სიამაყით აჩქროლებს სისხლს.

არა მგონია, სხვაგან, სადმე, იგრძნობოდეს ენთუზიზმის ამგვარი მოზღვავება მოქალაქეთა ყოველდღიურ საქმიანობაში, ისტორიულ მტერთაგან გათავისუფლებული სამშობლოს აღმშენებლობაში, როგორც აქ; ნოვაცია ებრაული გარჯისა და მუყაითობისა ენთუზიზმითაა დამუხტული ყველგან, – გაჰყავთ ახალი გზები, რომელთა გარდამოწმობა ნარგავებს რგავენ, – ნარგავებსა და ყვავილებს, რომლებიც იმგვარად კრთიან, ვით იმედიანი ხილვებით გაბრწყინებული სანთლები ამბიონზე.

აი, ეს გზა, როგორც ფირნიში გვიჩვენებს, სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართულებით მიდის, – გზა სწორზედაპირიანია და ფართე; სადღაც, შორი-ახლოს, ებრაული ენის აკადემიის შენობა უნდა იყოს... აუარება ადამიანი ირევა მუზეუმებთან, სამხატვრო გალერეებთან, კინოთეატრებთან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, იემბოთებთან... მოგრძო და სხივიან ქუჩათა მწკრივები მიწისქვეშა გადასასვლელებთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებთან და შექნიმებთან ერთად ხმაურს მისცემიან, რომელიც მშობლის ნაწასავით ესმის ამ უახლეს ერას.

მე ვგრძნობ, თუ ვით ენამჭყვრობს ახალი იერუსალიმი – ისტორიულ ქარტეხილებზე გამარჯვებათა რწმენის სიმბოლო და კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურობის ნიშანსეტი, – როს ამ გამორჩეულ დღეზე მზიან სიტყვებს აღავლენს იგი, – ხოლო ეს სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლის სი-

ყვარულის გულმხურვალე მანიფესტაცია!

\*\*\*

შუადღე მოიპარება და, სანამ დავტოვებდე ქალაქს, კიდევ ერთხელ ვკიდე თვალი ჯვარის მონასტერს, როგორც მშობლიურ ვიზიონს; იგი, ლეგენდის მიხედვით, რუსთაველის ცხოვრების იერუსალიმური პერიოდის მოწმეა და, ამასთან, რუსთაველისავ საბოლოო განსასვენებლად შერაცხილი, აქაურ მიწასთან განუსაზღვრელი ინტიმით დაკავშირებული, – მიწასთან, რომელიც ნათელმხილველი პოეტების სამკვიდროა ოდითვე.

სწორედ ინტიმია ის დიადი გრძნობა, რომლით გამთბარი აქაური ჩრდილი თუ ნათელი, ხე თუ ბურქი, ძეგლი თუ საფლავი მოსვენებას არ მადღევნ თავიანთი განუმეორებელი მშვიდი აურით; და ეს მოლაჟვარდისფრო მთები თუ კასტელები აქ, სადაც პოეტ-მოგზაურ სულს მეტოვრად ყველგან პირნათელი წინაპრების აჩრდილთა საკრალური დასი დაჰყვება, დაულეველი იმედეებით მავსებენ.

და ხეთა ფოთლებს რომ შარიშური გააქვთ ამ აუღმვრეველი დღის ქარვაში, თვით მიწის წილსაც ესმის, ალბათ, – მას, მგონი, ისიც ესმის, თუ როგორ მღერინან დიასპორასა და უცხოობას თავდაღწეული მისი შვილები კულტურული ცნობიერებით გამორჩეულ იმ მერმისზე, რაც მათმა სიმართლემ, ნიჭიერებამ და მოუღწელობამ მხარ-მკლავ მა უნდა შექმნან.

ამჟამინდელ იერუსალიმში, სადაც განახლებულ ძველ ევრატალეს უფძველეს კომკოთა ნაჩრდილები ელაშუენება, როგორც სჩანს, უამრავი სიძველე აღგვიღა პირისაგან მიწისა, რომელიც წარსულის ქარტეხილთა ახირებებს გადაჰყოლია, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ აღგვიღა მრავლჭირნახული მოდგმა ჩვენი ხალხისა, რომელმაც მთელ პლანეტას ერთხელ კიდევ დაანახა და დაუმტკიცა ებრაული გენის პლასტიურობა, ანუ მარადიული ლტოლვა ღვთაებრივი სრულყოფისაკენ მალლა ცაზე, სადაც მზის კანდელობრი ბრწყინავს, ფირუზის გუმბათის უსაზღვრობაა ნამდვილი; უბერავს ნიაფი, სპილენძის ხმით გასძახის პლატო პლატოს, ზეგანი – ზეგანს და ხეივნები უშუალობას ავლენენ, ვით მალალი პანთეონები.

ვიგონებ ზაფხულს, მოჯადოებულსავით შევყურებ ფენიქსისებრ მკვდრეთით აღმდგარ ებრაული ძღვევამოსილი სიცოცხლის ამ ქალაქს და კვლავ ესაიას სიტყვები ხმიანდება გულში უნებურად: „განათლდი, განათლდი, იერუსალიმ! რამეთუ მოიწია ნათელი შენი, და დიდებარ ღმრთისარ შენ ზედა აღმობრწყინდა“. საღამო ნატროონს!

1973 წ.

იერუსალიმის დღეს მიემკვნა

სასტუმრო „ტიფლის-კალასში“

სამხრეთ კავკასიაში ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობამ 14 მაისს სასტუმრო „ტიფლის პალასში“ გამართა იერუსალიმის დღისადმი მიძღვნილი საღამო-შეხვედრა. ტრადიციულად იერუსალიმის დღე აღინიშნება იერუსალიმის გაერთიანებასთან დაკავშირებით, როცა იგი გამოსტაცეს უცხოელ დამპყრობელს. ამიტომ ბუნებრივი, ამ დღეს ისრაელის დამოუკიდებლობის 67-ე წლისთავზეც იყო საუბარი. სამხრეთ კავკასიაში ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობის მეთაურმა აბი ოფირმა, მონვეულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუქსი, კონსული ადელ ხინო, ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამირ შანონი, ებრაული სააგენტოს იერუსალიმის ოფისის წარმომადგენელი მიხეილ შტიანგოფი, უამბო ისრაელის მიღწევებზე, ინოვაციებსა დაახალი ტექნოლოგიების დამკვიდრებაზე. ხაზი გაუსვა ისრაელის მორალურ ძლიერებას.

ისრაელის ელჩმა ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობას მადლობა გადაუხადა ასეთი მშვენიერი საღამოს მოწყობისათვის და დასძინა, რომ ისრაელის ძლიერების ერთ-ერთი დასტური სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთა ერთიანობაც გახლავთ.

ამირ შანონი ჯერ თბილისში მცხოვრებ ებრაელ ექიმებსა და სამედიცინო მიმართულების სტუდენტებს შეხვდა, მათთან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, მერე კო საღამოზე გამოსვლისას სტუმრებს უამბო ისრაელის მიღწევებზე სამედიცინო სფეროში.

ისრაელში ცნობილი კომპანიის „ნეტაფიმი“ წარმომადგენელმა საქართველოში არონ გაგულაშვილმა შეკრებილთ უამბო იმ პროექტებზე, რომელსაც ისრაელის ეს კომპანია საქართველოში სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად ახორციელებს.

საღამო მუსიკალურად მიჰყავდა და დაამშვენა კიდევ გამორჩენილმა ქართველმა მომღერალმა ნეკა სეხისკვერაძემ.

თბილისის კონსერვატორიაში

ლამის ერთი თვეა საქართველოში მეათედ ტარდება საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამალეობამდე“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ აშშ მოღვაწე დიდებული ქართველი ხელოვანი ალექსანდრე კორსანტია. ამ ფესტივალში ხშირად მონაწილეობენ ისრაელელი მომღერლები, მუსიკოს-შემსრულებლები, თუ კომპოზიტორები. ამის სამაგალითოდ ერთი კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის სახელიც კმარა.

ასე იყო ამჯერადაც: კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კამერული მუსიკის კონცერტში თბილისის სახელმწიფო კამერულ ორკესტრ „საქართველოს სიმფონიეტასთან“ ერთად მონაწილეობდა ისრაელიდან მონვეული დირიჟორი და დასარტყამი საკრავების დიდოსტატი ხენ ციმბალისტა.

მშვენიერი კონცერტის დაწყებამდე ისაუბრა საქართველოს საპატრიარქოს ფონდის მეთაურმა ლაშა ჟვანიამ, სტუმარსა და მაცურებელს მიესალმა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუქსი, ალექსანდრე კორსანტიამ ისაუბრა ხენ სიმბალისტას შემოქმედებით გზაზე და სცენა ისრაელიდან ჩამოსულ ხელოვანს დაუთმო, რომელიც მაცურებლის საერთო აზრით დიდი ვირტუოზი აღმოჩნდა. საღამოზე შესრულდა ა. ვივალდის „გია ყანჩელის, ი. ს. ბახის, ნეი როზაუროს (ბრაზილია) და პიაცოლა ლევიტასის, ნანარმოებები.

დასასრულს მაცურებელ-მსმენელს ერთობ გაუჭირდა ხენ ციმბალისტასთან განშორება.



**დაფუძნებელი და გამომცემელი:** გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
**თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>,**  
**ტელეფონები:** 299.90.96, 277.20.57

**რეპისტრირებულია:** ქ. თბილისის პრეზიდენტის  
**რაიონის სასამართლოს**  
**მიერ.**  
**რეპისტრაციის № 4/1-921**

**რედაქტორი:** გურამ ბათიაშვილი  
**ISSN 1987-8982 UAC 070 411.16**  
**8-557**

**9771987898003**